ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი # 95

1 ოქტომბერი 2020 წ.

ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

15:00 სთ

სხდომა ჩატარდა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიასთან ერთად

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.

კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა,ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ირაკლი თავართქილაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ გრიგოლია.

დღის წესრიგი:

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, გლდანისა და ვარკეთილის რაიონებში მდებარე შესაბამის მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების თაობაზე“. 12-03202692-03

როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, საკითხი გადადებული იყო დროებით გარკვეულ შეკითხვებზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად. კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით დამატებითი დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ირაკლი თავართქილაძემ
ვახტან შაქარაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტის დამტკიცება არის დანაშაულებღივი გადაწყვეტილება, რადგან მხოლოდ იმიტომ, რომ მუნიციპალიტეტი ვერ იცავს ქალაქის საკუთრებას, ასევე ვერ უზრუნველყოფს ამ ტერიტორიების სწორად განვითარებას, ამიტომ ათეულობით მილიონი ქონების 1 ლარად გადაცემა არის უდიდესი შეცდომა. ეს გადაწყვეტილება ვერ შეაჩერებს აღნიშნულ ტეროტორიაზე მიწების მითვისების პროცესს და ამ გადაწყვეტილებას ბიუჯეტში შემოსავლები არ მოაქვს. როდესაც პანდემიის პროცესში ბიუჯეტში შემოსავლების ნაწილში არის დანაკლისი, არასწორია აღნიშნული მასშტაბის ტერიტორიის პროვატიზება და თუ პრივატიზება ხდება, მაშინ ბიუჯეტმა შემოსავლები უნდა მიიღოს. აქედან გამომდინარე ის ამ პროექტის დამტკიცებას არ ეთანხმება.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.
მომხრე-7. წინააღმდეგი- ვახტანგ შაქარიშვილი.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრაველსობამ დადებითი რეკომენდაცია მისცა და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე**

ოთარ გრიგოლია